პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 44 (19486) ◆ პარასკევი, 21 თებერვალი. 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: გაერთიანების მოწინავე მშრომელები ზ. გურგენიშვილი, მ. დათაშვილი, ს. მოსსიაშვილი, ლ. მელაძე, ნ. გაზაშვილი, მ. ქვრივიშვილი და მ. მაისურაძე; გაერთიანების კოლექტივი უსმენს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ივერიის“ კონცერტს.

ლ. გუსლოვის და თ. ნაფიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

გორის ანალიზური ხელსაწყოთსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივი წარმატებით ეგებება სკკპ XXVII ყრილობას. აქ დამზადებული 50 სახეობის ხელსაწყოდან 14 მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნება. ამიტომ გაერთიანების კოლექტივი განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

დიდი საშეფო კონცერტი გამართა გაერთიანებაში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ივერიამ“. მოწინავე საწარმოს მშრომელთათვის მოწყობილი კონცერტი შსახიობებმა სკკპ XXVII ყრილობას მიუძღვნეს.



სურათებზე: გაერთიანების მოწინავე მშრომელები ზ. გუ-

პარტიისა და ხალხის ერთიანობა

18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა პარტიის XXVII ყრილობის მოწვევასთან და მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხებზე მოისმინეს მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის მოხსენებები. პლენუმმა მოიწონა წარმოდგენილი მოხსენებები ყრილობისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი რედაქციის, პარტიის შემცველი წესდებისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება, ეს დოკუმენტები განსახილველად წარუდგინოს სკკპ XXVII ყრილობას.

ამ ყრილობისწინა დღეებში „პრავდის“ რედაქცია იღებს განსაკუთრებით ბევრ წერილს პარტიის შესახებ. მუშათა და კოლმეურნეთა, მეცნიერთა და სტუდენტთა, ინჟინერთა და მეიმართა ხმა, ერთი სიტყვით, ხალხის ხმა გამოსცვივის ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსული წერილების გულწრფელ შთაგონებულ სტრიქონებში. წერილების ავტორები გამოთქვამენ აზრებს საყრილობო დოკუმენტების ტექსტებზე, რომლებიც განიხილეს მთელმა პარტიამ და მთელმა ხალხმა, მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის პოლიტიკას, რომელიც დაადგა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს, აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარონ დასახული გეგმების შესრულებას.

„ეს გეგმები შეესაბამება მუშაკების ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და ოცნებებს, — გვწერს, მაგალითად, გომელიდან საწარმოო გაერთიანება „გომელსოფტმანქანის“ მდნობელი გ. გერასენი. — ცხოვრება გვარწმუნებს: ყველაფერი, რასაც პარტია აკეთებს, მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობას. ასეთ პოლიტიკას მთელი სულითა და გულით ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ ჩვენი შრომით“.

პარტიისა და ხალხის ერთიანობა ჩვენი საზოგადოების ძალაა. ამ ერთიანობამ გაუძლო დროის გამოცდას, გამოიწრთო სოციალიზმის მშენებლობის დროს. დღეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ დაწყებული ისტორიული გზის ახალ ეტაპზე, პარტიისა და ხალხს ერთიანი ფიქრები, მისწრაფებები და საქმეები აქვთ. ეს გვიანდრეა ლენინმა. ლენინის ანდერძს კი ყველაფერში ვერთგულობთ.

„პარტია ხალხისათვის არსებობს, მისი სამსახური მიაჩნია თავისი მოვალეობის აზრად, — ჩაწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში. — მიზნები და ამოცანები, რომლებსაც იგი ისახავს, საბჭოთა ხალხის მისწრაფებებსა და ძირეულ ინტერესებს გამოხატავს. პარტია კვლავაც ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით იმოქმედებს, დღეიდან გააფართოებს და გააღრმავებს კავშირურთიერთობას ხალხთან, მისი საჭიროებებითა და საზრუნავით ისულდგმულებს“.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ პარტიული სიტყვა და საქმე ერთია. უკანასკნელ ხანს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სხვადასხვა კატეგორიის მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდებისათვის, მათი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გეზი ხელს უწყობს ხელის შრომის შემცირებას. გაუმჯობესდა დედების მდგომარეობა, გაიზარდა შრომისა და ომის ვეტერანთა შეღავათები. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება, მიზნად ისახავს იმას, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის დონე. მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი ჩვენს საზოგადოებაში. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გაჩაღებული შეტევა ჯანსაღ ყოფას აჭკიდრებს.

პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია დღენიადაგ ეთათბირებოდეს მშრომელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ყურადღებით ითვალისწინებს მათს აზრს. ამის დამჯერებელი მაგალითია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და პარტიის წესდების ცვლილებათა, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების განხილვა. ამ განხილვაში მონაწილეობდა მილიონობით ადამიანი, რომლებმაც გაგვიზიარეს თავიანთი აზრები, შენიშვნები, წინადადებები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების პირად ურთიერთობას მშრომელებთან. ამ მხრივ მაგალითს გვიჩვენებენ ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო. პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები პერიოდულად მიემგზავრებიან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, ხვდებიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ასეთია ლენინური ტრადიცია, რომელიც დღეს კიდევ უფრო ვითარდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი რედაქციის პროექტი შეიცავს მოთხოვნას, რომ ყველა დონის ხელმძღვანელები ნიადაგ ხვდებოდნენ ადამიანებს, სწავლობდნენ მათ განწყობილებას, იცოდნენ მათი თხოვნა და სურვილები.

პარტია მოითხოვს დიდ ყურადღებას ვუთმობდეთ მშრომელთა წერილებსა და ზეპირ განცხადებებს. ისინი მიგვაჩნია არა მარტო საბჭოთა ადამიანების დიდი პოლიტიკური აქტიურობის, შეგნების მკაფიო დადასტურებად, არამედ საზოგადოების საქმეთა მართვაში მასების უშუალო მონაწილეობის ერთ-ერთ საშუალებად, ჩვენი წყობილებისათვის დამახასიათებელი უშუალო დემოკრატიის ფორმად.

მასებთან პარტიის კავშირის სიმტკიცე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულად ვლინდება კომუნისტთა ავანგარდული როლი. თითოეული მათგანი მოვალეა იყოს სანიმუშო შრომაში და ყოფაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მკაცრად მოჰკითხავს პარტიის წევრებს თავიანთი მოვალეობისადმი დამოკიდებულებისათვის, პარტიელის პატიოსანი და სპეტაკი სახისათვის. ხორციელდება პირველადს პარტორგანიზაციათა შუამბრძოლ შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. როგორც შრომითი კოლექტივების პოლიტიკური ბირთვი, ისინი მოწოდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი მასების ცოცხალ შემოქმედებასთან პარტიის პოლიტიკის შეერთებას.

პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედებს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა სხვა რგოლი — საბჭოები, პროფკავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავენ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესთა ერთიანობასა და თავისუფლებას. ამ ორგანიზაციათა როლისა და აქტიურობის შემდგომ ამაღლებასთან დაკავშირებულია საბჭოთა დემოკრატიის ყოველმხრივი სრულყოფა, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის უფრო სრული განხორციელება.

ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების პოლიტიკაა. საბჭოთაა ახალი ფართო მასშტაბის საშვიდობო ინიციატივები ნაღარასავით გაისმა, რომელიც მოუწოდებს ქვეყნად სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს ამ წინადადებებს. მშვიდობა გვჭირდება ჩვენ და ჩვენს შვილებს. იგი სჭირდება პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანს.

კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, ოპტიმიზმით შეეყურებენ ომავალს. ჩვენ გვწამს საკუთარი ძალები, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის შრომით მივალწევთ კომუნისტური აღმშენებლობის ახალ მწვერვალებს.

ПРАВДА

20 თებერვლის მოწინავე

გაერთიანების კონფერენციას

მივესალმები გაერთიანების კონფერენციის მორიგ სესიაზე შეკრებილ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

საბჭოთა კავშირი გაერთიანების კონფერენციაში მონაწილეობას ეკიდება მთელი პასუხისმგებლობით, რომელიც ნაკარნახევია იმის გაგებით, რომ სწორედ გაერთიანება არის ახალი, სამართლიანი საერთაშორისო წესების დამკვიდრების, უსაფრთხო მსოფლიოს მშენებლობის მაგისტრალური გზა. სწორედ გაერთიანება, რომელიც გამოთავისუფლებს უდიდეს მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებს, შესაძლებლობას მოგვცემს მოვახმაროთ ისინი ადამიანური ბედნიერებისა და ეკონომიკური განვითარებისა და აყვავების მიზნებს.

კაცობრიობა მიუახლოვდა გარდატეხის მომენტს თავის ისტორიაში, როცა მან უნდა მოახდინოს შემდგომი გზის არჩევანი — ან დაძლიოს წარსულის ინერცია, როცა უშიშროებას უყურებდნენ ძალის პოზიციისა და სამხედრო-ტექნიკურ გადაწყვეტათა პრიზმით, ან დარჩეს გამალებული შეიარაღების — ბირთვული, ქიმიური შეიარაღების, პერსპექტივაში კი სხვა, არანაკლებ მრისხანე შეიარაღების მძევლად.

ეს არჩევანი გონების მიერ ნაკარნახევია და იმას შორის, რასაც კატასტროფა მოსდევს, შეიძლება მოახდინოს მხოლოდ ერთობლივად ყველა სახელმწიფომ, მათი საზოგადებრივი წყობილებისა და ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად.

ეს არჩევანი უნდა იყოს გაბედული და პასუხსაგები, და გაერთიანების კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოებზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული, რომ იგი ასეთი იყოს. ახლა ვეღარ შევიზღუდებით სანანებელი გადაწყვეტილებებით, რომლებიც შეანელებენ გამალებულ შეიარაღებას ერთი მიმართულებით მხოლოდ იმისათვის, რომ სხვა მიმართულებებით იგი გაღრკეცებული ძალით წარიმართოს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დადგა დრო, როცა ჩვენ ერთად დიდი ნაბიჯით უნდა წავიდეთ წინ, რათა ბირთვული და სხვა იარაღისაგან გავთავისუფლოთ პლანეტა, რათა თითოეულისათვის უშიშროება ნიშნავდეს ყველასათვის უშიშროებასაც.

ხელმძღვანელობს რა ამ მოსაზრებებით, საბჭოთა კავშირმა მიმდინარე წლის დამდეგს წამოაყენა კომპლექსური გეგმა, რომლის ცენტრალური ელემენტია ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის ეტაპობრივი პროგრამა. ჩვენი წინადადებაა მიმდინარე საუკუნის დამლევამდე ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ დამოკლეს მახვილი, რომელიც ხალხებს ემუქრება ჰიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიის დროიდან.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგან საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც ყველაზე დიდი ბირთვული პოტენციალი აქვთ, რათა მათ დანარჩენმა ბირთვულმა სახელმწიფოებმა მიბაძონ.

ჩვენი ღრმა რწმენით, კაცობრიობის ხსნა ბირთვული საფრთხისაგან შეიძლება მხოლოდ ერთი— პირდაპირი გზით — მოვსპოთ თვით ბირთვული იარაღი. ობიექტური რეალობა ისეთია, რომ „ვარსკვლავეთის ომების“ იარაღის შექმნა და განლაგება გარდუვალად გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას ყველა მიმართულებით. ამიტომ ამთავითვე საჭიროა დამკვერელი კოსმოსური შეიარაღების ეფექტიანი საერთაშორისო აკრძალვა.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება საუკუნის დამლევამდე მთლიანად მოვსპოთ ქიმიური იარაღიც, გადაჭრით დავაჩქაროთ ამ საკითხზე კონვენციის უზომოდ გაჭიანურებული შეთანხმება.

ვუუჭერთ რა მხარს ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალ მსოფლიოს, ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების დარგშიც მზად ვართ იმდენად შორს წავიდეთ, რამდენადაც ამისათვის მზად იქნებიან სხვა სახელმწიფოები.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ წინადადებას ვაყენებთ შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების ყველა პრაქტიკული ღონისძიება განვამტკიცოთ ქმედითი კონტროლისა და შემოწმების ღონისძიებებით. სსრ კავშირი სხვა სახელმწიფოებზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული იმით, რომ დარწმუნებული იყოს მორიგებათა მკაცრ შესრულებაში.

ჩვენი გეგმის ბევრი დებულება უშალოდ ეხება განიარაღების კონფერენციას.

საკმარისია ითქვას, რომ მის დღის წესრიგში პირველ ადგილზეა გამოცდის აკრძალვის პრობლემა, რომლის რადიკალური გადაჭრა, ჩვენი აზრით, შეიძლება გახდეს შემობრუნების წერტილი ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს ამისათვის, კერძოდ, იგი თანახმაა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვას დაუწესდეს ყველაზე მკაცრი კონტროლი, მათ შორის მოეწყოს ინსპექციები და ადგილებზე გამოყენებულ იქნეს სეისმოლოგიის ყველა მიღწევა.

როგორც ცნობილია, შარშან სსრ კავშირმა, რომელსაც სურდა კარგი მაგალითი ეჩვენებინა, ცალმხრივი წესით შეწყვიტა ყოველგვარი ბირთვული აფეთქებანი, ხოლო შემდეგ 1986 წლის 31 მარტამდე გააგრძელა მორატორიუმი. ახლა უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებზეა დამოკიდებული ის, იმოქმედებს თუ არა შემდგომშიც მორატორიუმი, გახდება თუ არა იგი ორმხრივი, ხოლო შემდეგ კი მრავალმხრივიც.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები ხმას აღიმაღლებენ ასეთი მოქმედების სასარგებლოდ და რომ თვით კონფერენცია შეძლებს შეუდგეს საქმიან მოლაპარაკებას, რომელსაც მოჰყვება ყველას მიერ, ყველგან და სამუდამოდ ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვა.

ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს წარმატებებს მათ წინაშე დასახულ პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტაში.

მ. გორბაჩოვი.

თავდადებული შრომის შედეგი

ახალქალაქის კიდული გაგირგზეების მოწყობილობის ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასნო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ დიდ შრომითს მიღწევას — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახალქალაქის სპეციალური სატვირთო და სამგზავრო კიდული ბაგირგზების მოწყობილობის ქარხნის წარმატებით ამოქმედებას.

თქვენი მიღწევა კიდევ ერთხელ მოწმობს საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ მისწრაფებას კოსტრატული საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას. ამით გამოიხატა მშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა და დამპროექტებელთა თავდადებული შრომა და შემოქმედებითი ინიციატივა, მისწრაფება ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გზით მიაღწიონ ახალ მაღალ მიჯნებს. დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რათა გამოეძებნათ დამატებითი რეზერვები და შესაძლებლობანი მშენებლობის დაჩქარებისათვის.

გილოცავთ რა შრომითს გამარჯვებას, გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ კვლავაც არ დაიშურებთ ძალ-ღონესა და ცოდნას, რათა რაც შეიძლება მალე აითვისოთ ამოქმედებული სიმძლავრენი და გამოუშვათ რესპუბლიკისა და ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო პროდუქცია.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფსაბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

მეგობრულ ვითარებაში

19 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. მესნერს, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ შეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

ზ. მესნერმა მ. ს. გორბაჩოვს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის სახელით გულითადად უსურვა წარმატებანი მუშაობაში. თავის მხრივ მ. ს. გორბაჩოვმა ვ. იარუზელსკის, პოლონეთის ხელმძღვანელობას უსურვა შემდგომი წინსვლა პოლონეთში სოციალიზმის განმტკიცების გზით. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ისწრაფვის გააღრმავოს და გაფართოოს ყოველმხრივი კავშირურთიერთობა პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასთან, რაც შეესაბამება საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძირეულ ინტერესებს.



სურათზე: შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საუბრის დროს ითქვა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობა დღენიადაგ ფართოვდება და მდიდრდება ახალი ფორმებით. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კიდევ უფრო ენერგიულად იმუშაონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის, რაც შეესაბამება საბჭოთა და პოლონელი ხალხების საარსებო ინტერესებს, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის, მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს პოლონეთის მხარემ განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამა წლის 15 იანვრის განცხადებაში ჩამოყალიბებულ საუკუნის დამლევამდე დედამიწაზე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამას. მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით გაზარდონ მიცადინეობა ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

საუბარმა ყველა განხილულ საკითხზე გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. მან დაადასტურა მხარეთა განუხრელი მისწრაფება — განმტკიცონ საბჭოთა და პოლონელი ხალხების ყოველმხრივი თანამშრომლობა და მეგობრობა. (საკდესი).

სკკპ XXVII ყრილობის წინ

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებთან, რომლებიც არჩეულნი არიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისაგან.

შეხვედრაზე აღინიშნა შრომითი კოლექტივების მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანი განწყობილება პარტიის ყრილობის წინ, გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ ქვეყნის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმზე დელეგატები ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ნ. ა. ჭითანავა, ვ. ი. ალავიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია. (საქინფორმი).

ალვზარდოთ მუშათა ღირსეული ცვლა

1985 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემას ზედიზედ მერვედ მიენიჭა სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ საპატიო ჯილდოს გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გაიმართა 20 თებერვალს. კრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. პ. დუმაჩოვი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

მოხსენება რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის შედეგებისა და მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანების შესახებ გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ტ. რეგვავამ.

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. პ. დუმაჩოვი, რომელმაც რესპუბლიკის სისტემის წარმომადგენლებს გადასცა გამარჯვებულის დროშა და უსურვა მათ ახალი წარმატებები საქართველოს მუშათა კლასის ღირსეული ცვლის აღზრდაში.

კრებაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობის წინ მიღებული საპატიო ჯილდო კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მუშათა კლასის რიგების ღირსეული შევსების, მისი ცვლის მომზადებისათვის, რომელმაც უკვე დღეს უნდა გადაწყვიტოს სახალხო მეურნეობის ბედი, გახდეს ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალა.

დღენიადაგ იზრდება სახალხო მეურნეობაში პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წვლილი. ხუთწლედის წლებში სასწავლებლებმა მომზადეს 200 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშა: მეჩარხეები, გვეროგბგამყვანები, მშენებლები, მექანიზატორები, მეცხოველეები, ყაყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები, ფეიქრები, მელიორატორები და სხვ. პროფესიული სკოლის განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპის მაჩვენებელია ვანის პროფტექნიკურ სასწავლებელში მინერალონული აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნა, თბილისის №18 და ქუთაისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ ბრიგადული იჯარის საწყისებზე საცხოვრებელი სახლისა და საბავშვო ბაღის აშენება, პროფტექნიკურ სასწავლებელში მართვის ჩარხების ათვისება.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს წარმატებები და ამავე დროს დასახელეს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ძირითად ამოცანებსა და პრობლემებს, რომლებიც პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს მეთორმეტე ხუთწლედში. (საქინფორმი).

დედამიწისირგვლივ ორბიტაზეა „მირ“ სამეცნიერო სადგური

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1986 წლის 20 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს „მირ“ ორბიტული სამეცნიერო სადგური.

„მირ“ სადგური აღჭურვილია ექვსი შესაპრაპირებელი კვანძის მქონე შეპირაპირების ახალი სისტემით და წარმოადგენს საბაზო ბლოკს სამეცნიერო და სახალხო-საეურნეო დანიშნულების სპეციალიზებული ორბიტული მოდულებით აღჭურვილი მრავალმიზნიანი მუდმივმოქმედი პილოტირებული კომპლექსის ასაწყობად. სადგურში მაქსიმალურად არის ავტომატიზებული მომრაობის, საბორტო სისტემებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მართვის პროცესები, რაც თანამედროვე ელექტრონული-გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე ხდება. გაზიარდა ენერგოკვების სისტემის სიმძლავრე, მუშაობისა და დასვენების უფრო კომფორტული პირობებია შექმნილი კოსმონავტებისათვის, დადგმული ახალი მოწყობილობა.

„მირ“ სადგურის ფრენის საწყის ეტაპზე დაგეგმილია მისი კონსტრუქციის ელემენტების, საბორტო სისტემებისა და აპარატურის გამოცდა ავტომატურ, შემდეგ კი პილოტირებულ რეჟიმებში. ამასთან ერთად დაიხვეწება სადგურის ფრენის მართვა რეტრანსლატორი თანამგზავრების გამოყენებით. მომავალში გათვალისწინებულია საბაზო ბლოკზე სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი სპეციალიზებული მოდულების მიტანა.

ამჟამად დედამიწისირგვლივ კოსმოსური სივრცეში ფუნქციონირებს ორი საბჭოთა ორბიტული სადგური — „მირ“ და „სალუტ-7“. ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებით, ორივე სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

„მირ“ და „სალუტ-7“ სადგურების ფრენის მართვას და მიღებული ინფორმაციის დამუშავებას ახორციელებს მოსკოვის ოლქში მდებარე მართვის ცენტრი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული სათვალთვალო სადგურებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემების მეშვეობით.

„მირ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის გაშვება, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად განხორციელდა, ახალი ნაბიჯია კოსმოსური სივრცის ათვისების გზაზე (საკდესი).

საკდესის ცნობა

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲤᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲩᲔᲛᲞᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲔᲡ

ᲨᲔᲒᲕᲐᲯᲐᲛᲔᲗ მეთერთმეტე ხუთწლედი, შევუდექით ახალ სამეურნეო წელს. უნდა ითქვას, რომ შენებელთა მძიმე, მაგრამ ამასთან ხალისიანი შრომა ჩვენმა კოლექტივმა ბოლომდე გასწია. ციფრების ენით ეს შემდეგს ნიშნავს: გენერალურ-საიჯარო ხელშეკრულებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობამ 28.500 ათასი მანეთი შეადგინა. შესრულდა საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება— ხუთწლედში სულ გეგმით გათვალისწინებული 39.792 კვადრატული მეტრის ნაცვლად 44.750 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აშენდა. აღსანიშნავია, რომ შრომის ყველა უბანზე გარდატეხა მოხდა. ბოლო სამი წლის მანძილზე ტრესტი რენტაბელურად მუშაობს, იცავს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოვიპოვეთ შრომის ნაყოფიერების ზრდაში. ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი მეათე ხუთწლედთან შედარებით 48 მანეთით ანუ 40 პროცენტით გაიზარდა, ამან, ცხადია, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მუშაობის მთელ პროცესებზე, ადამიანები მიზანსწრაფულად შრომობენ, რათა გეგმა შეუსრულებელი არ დარჩეს, ამასთან ნაგებობა ხარისხიანი და საიმედო იყოს.

მეთერთმეტე ხუთწლედში ოლქში აშენდა ისეთი ობიექტები, როგორიც არის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ავტოსატრანსპორტო გაერთიანების საწარმოო კომპლექსი, ათიათასადგილიანი სტადიონი, საკონცერტო დარბაზი, სკოლები, სბიაგშვო ბაღები, ახალი საცხოვრებელი მასივები ყამირელთა რაიონში და ლენინის ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲚᲘ, პარტიის საოლქო კომიტეტის შენობა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დანიშნულების მთელი რიგი ობიექტები.

წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ, რა გზით მივაღწიეთ მათ? წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს ხოლმე. ჩვენთან, მაგალითად, ტრესტის პარტიული ბიუროს ყოველ სხდომაზე, პარტიულ კრებებზე საქმიანად განვიხილავთ და ვწყვეტთ კოლექტივის ცხოვრების მრავალ საკითხს. ვცდილობთ პარტიული კრებები გადავაქციოთ კომუნისტთა წრთობის, აღზრდის ნამდვილ სკოლად. აქ მშრომელები აღძრავენ ხოლმე მწვავე საკითხებს, ბჭობენ, მერე კი აკონტროლებენ მათ გამო მიღებული დადგენილების შესრულებას და ა. შ. განსაკუთრებული გამოცოცხლება შეიმჩნეოდა პარტიიურის წევრებს შორის საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისწინა პერიოდში. პარტიური მდივანი გ. ჯიოევი, მისი წევრები, რიგითი კომუნისტები— ყველანი სასარგებლო წამოწყების ავანგარდში იყვნენ.

ახლა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის წინა დღეებია. კონკრეტული ნობათებით ვეგებებით ამ მოვლენას.

ჩვენი მიზანია ორი თვის გეგმა, რომელიც 1.500 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებს, 25 თებერვლისათვის შეგასრულოთ. ჩვენი საყრილობო საჩუქარი იქნება აგრეთვე ორი თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი ლენინგორსა და ცხინვალში, სოფელ ტამარაშენის 90 ბავშვისათვის და ცხინვალის მეგვირაბეთა დასახლების 120 ბავშვისათვის გათვალისწინებულია კეთილმოწყობილი სბაბავშვო ბაღები.

სამომავლო გეგმებიც დიდი გვაქვს. ასე, მაგალითად, თუ შარშან საექსპლოატაციოდ გადავეცით 16 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, წელს 20 ათას კვადრატულ მეტრს ჩავაბარებთ. ავაშენებთ საშუალო სკოლებს ზნაურის რაიონის სოფელ ნულში და ჯავის რაიონის მთის სოფელ როკაში. დავაჩქარებთ ადგილობრივი მრეწველობის ქარხნის შენებლობას, ორმილიონამდე ოც მილიონ მანეთზე მეტია გათვალისწინებული, ეუმატებთ აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტის შენებლობის ტემპს, შევუდგებით სხვა დიდი ობიექტების შენებლობას.

ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი მოწადინებით არ მოხერხდება. ჩვენი ენერგიული შრომის გარდა ბევრი რამ არის საჭირო. უპირველესად საჭიროა სასწრაფოდ გაუმჯობესდეს საშენი მასალებით—ხე-ტყით, ცემენტით, ლითონით, აგურით მომარაგება. განსაკუთრებით გვაფერხებს რკინაბეტონის კონსტრუქციები. ჩვენს განკარგულებაში არსებული რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა ტრესტის მოთხოვნილებებს მხოლოდ სანახევროდ თუ აკმაყოფილებს. ამიტომაც გავიხადეთ უპირველეს საზრუნავად ამ ხარვეზის დროული გამოსწორება. უკვე შემოვიტანეთ მთელი რიგი ახალი მძლავრი დანადგარები, რომელთა დამონტაჟება უზრუნველყოფს საჭირო რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადებას.

სასაყვედურო გვაქვს საგეგმო და კაპიტალური შენებლობის საოლქო სამმართველოს, ცხინვალის საქალაქო საბჭოს და ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს მიმართ, რომლებიც დროულად არ უზრუნველგვყოფენ საპრობლემო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, გვიგვიანებენ დაფინანსებას და ასაშენებელი ობიექტების ტერიტორიის გამოთავისუფლებას, გვაფერხებს აგრეთვე სათანადო მექანიზმების უქონლობა. დიდი მშენებლობანი ხომ მძლავრ ტექნიკას მოითხოვს!

ვიმედოვნებთ, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ხელშეწყობითა და დახმარებით გაუმჯობესდება ჩვენი ტრესტის საწარმოო ბაზა, გვექნება საკმაო მექანიზმები და ავტომობილები, სამშენებლო მასალები. ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რომ არ შენელდეს ის აღმშენებლობის ტემპი, რომლითაც ამ ბოლო წლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გამოირჩევა.

Ლ. ᲒᲔᲠᲒᲐᲣᲚᲘ,
სკკპ წევრი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტის მმართველი.

„ᲙᲝᲚᲮᲭᲝᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

ᲢᲠᲔᲡᲢ „კოლხეთმშენის“ მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა წელს დააშრეს და ჭალის სამსახურში ჩააყენეს 530 ჰექტარი წინათ გამოუყენებელი მიწა — 110 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწების ათვისების სამუშაოები განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხობის, გალის, ოჩამჩირის, ცხაკაიას, აბაშისა და ლანჩხუთის რაიონებში. აქ დღეისათვის 1,5-ჯერ მეტი ჭაობი დააშრეს, ვიდრე სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებით იყო კათვალისწინებული.

ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ „ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ“ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔᲠᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ—ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ Ს. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ. ᲐᲨᲔᲜᲓᲐ თანამედროვე და განახლდა ძველი საამქროები, რომლებიც უნიკალური მოწყობილობით კომპლექტდება. იქმნება საწარმოს შეკრული ციკლით მოქმედების მოცულობანი შესაძლებლობანი. განახლებული ქარხნის კოლექტივმა ფასდაუდებლად დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ფოლადის მაგისტრალის შეუფერხებელ და დიდმწარმოებლურ მუშაობაში.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა გაერთიანების გენერალურ დირექტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს ზ. ჩიკვაძეს და გაერთიანების საწარმოო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს Მ. ᲙᲘᲠᲙᲘᲫᲔᲡ.

ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲐ

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ

არნახულად დიდ ამოცანებს უსახავს ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებს სსრ კავშირის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში. მეთორმეტე ხუთწლედში რკინიგზის ტრანსპორტმა უნდა ვადაზიდოს 8-10 პროცენტით მეტი სახალხო-სამეურნეო საქონელი და გადაიყვანოს 7-8 პროცენტით მეტი მგზავრი. ასეთი რთული დავალების შესრულებას ხელი უნდა შეუწყოს ელექტრიფიცირებული გზის მკვეთრმა გაფართოებამ. მომდინარე ხუთწლედში ელექტროწევაზე 8 ათასი კილომეტრის სიგრძის რკინიგზა გადავა, და ეს ძალიან დიდი ციფრია. ასეთი გრანდიოზული მოცულობის სამუშაოს შესრულების შემთხვევაში არ ახსოვს არც ერთ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნის სარკინიგზო შენებლობის პრაქტიკას. ხუთწლედის დამლევს ელექტრიფიცირებული ხაზების სიგრძე რკინიგზის საერთო სიგრძის 37 პროცენტს მიაღწევს და, რაც მთავარია, ამ გზით მთელი ტვირთბრუნვის 70 პროცენტი შესრულდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობა, ძალიან საგრძნობლად გაიზრდება ლოკომოტივზე მოთხოვნები. რკინიგზის ლოკომოტივებით უზრუნველყოფაში ერთი გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის რეკონსტრუირებულ თბილისის გაერთიანების „ელმავალმშენების“ კოლექტივს. რა მისცა გაერთიანებას რეკონსტრუქციამ? უწინარეს ყოვლისა ის, რომ მთლიანად შეიკრა ლოკომოტივების დამზადების ტექნოლოგიური ციკლი. ელმავლის ის ნაწილები, რომლებიც ადრე ნოვოჩერკასკის მონთაჟსავე საწარმოდან კოოპერირებით შემოჰქონდათ, აქვე, ადგილზე შეიქმნება და ეს მკვეთრად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ხელს შეუწყობს ხანი ტექნიკური დონის ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანობას, წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას.

ახლა საწარმოში ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული ღონისძიება. მუშადება უახლესი ტექნოლოგიური ციკლი, დაინერგება დიდმწარმოებლური უნივერსალური და პროგრამული მარკვეს ჩარხები, რობოტიზებული ნაკადური ხაზები, მექანიზაციავტომატიზაციის საშუალებები. რამაც პრაქტიკულად მთლიანად უნდა აღმოფხვრას ხელის შრომა. პროდუქციის ხარისხის კონკურენტუნარიანობის ზრდაში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ახალი პროგრესული მასალების გამოყენებამ, ადამიანის ფაქტორის ზრდამ, დისციპლინის ყოველმხრივმა განმტკიცებამ. წინა პლანზეა წამოწეული მომჭირნეობა, უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება და მისი უცილობელი დანერგვა, შრომის უსაფრთხოების სრული დაცვა, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების პარალელური, ერთდროული გადაწყვეტა.

ცხადია, ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებას, სიახლეების დანერგვასთან დაკავშირებული ურთულესი ამოცანების გადაწყვეტას მარტო ელმავალმშენებლის საკმაოდ ღონიერი კოლექტივი ვერ შეძლებს. საკან ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი მეცნიერებაზე გადის. ყველაფერი უნდა მოხდეს წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის საფუძველზე.

ამ მხრივ, ერთი შეხედვით, „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მოქმედების შესაძლებლობანი პირდაპირ განუსაზღვრელი უნდა იყოს, იმიტომ რომ თბილისშია გაერთიანებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავის დარგობრივი ინსტიტუტებით, აქ მოქმედებს ათობით სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტი. ჰოდა, თუ ამ სამეცნიერო დაწესებულებებიდან უმრავლესობა დაეხმარება გაერთიანებას, წარმატება, მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება.

თუ რა სიკეთე მოაქვს მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტებს, მოწმობს ასეთი ფაქტი. წელიწადში გაერთიანება ძრავების კოლექტორებისათვის მილიონ ზე მეტ სპილენძის ფირფიტას ამზადებს. დიდი ხნის განმავლობაში ზემოხსენებულ ფირფიტებს ექვს სხვადასხვა ჩარხზე ამზადებდნენ და მისი ტექნოლოგია ძალზე შრომატევადი იყო. მართალია, გაერთიანების ძალებით შეიქმნა ფირფიტების დასამზადებელი ავტომატური ხაზი, რომელმაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გაუუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, მაგრამ ამით ყველა პრობლემა მაინც ვერ გადაიჭრა. გადაუწყვეტელი იყო ფირფიტის ერთ-ერთი ნაწილის მოკალვის, მისი ბიბილოების პასტით დაფარვისა და მოპირკეთების საკითხები. არც თვით ავტომატის მუშაობით იყვნენ მაინცდამაინც აღტაცებულნი. ამ საკითხების მოსაგვარებლად გაერთიანების ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს არ ჰქონდა იმ დროისათვის გამოცდილება.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონების დამუშავების კათედრის გამგის, პროფესორ ვ. ბაკაშვილის, უფროსი მეცნიერი მუშაკის ვ. პროზოროვისა და ქარხნის მთავარი ინჟინერის ყოფილი მოადგილის, ამჟამად სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის გ. ცხადაძის ერთობლივი მეცადინეობით ეს პრობლემა მთლიანად გადაწყდა. ნაკადური ხაზი ახლა მთელი სიმძლავრით მუქმედებს, შეუღარებლად გაუმჯობესდა ფირფიტების ხარისხი და ამით გაერთიანება ყოველწლიურად სულ ცოტა 80 ათას მანეთს ზოგავს.

გაერთიანებასთან ნაყოფიერად თანამშრომლობს აგრეთვე ზემოდგომ წელი და მთლიანად მეთეერთმეტე ხუთწლედი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაგვემთავრებინა.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ახალი ეტაპი დაიწყო სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნით. ჯერჯერობით არ არის გაერთიანების დებულება, მაგრამ თქვენი გამოცდილებით გვითხარით, როგორ გესახებათ მომავალში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაობა, რა არის საჭირო მისი სრულყოფისათვის?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნით დაიწყო მართვის სისტემის სრულყოფის ახალი ეტაპი. ახლა მთავარია გამოინახოს ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელსაყრელი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამმუშავებელი მრეწველობისათვის. ჩვენი აზრით, გაერთიანების მართვის აპარატი უნდა გახდეს სოფლად სამეურნეო, ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების ცენტრი. გაერთიანებამ მართვა უნდა დაუახლოოს უშუალოდ წარმოებას, უზრუნველყოს სოფლის მეურნეობისა და მომსახურე, გადამუშავებელი მრეწველობისადმი კომპლექსური მიდგომა. იგი უნდა გახდეს სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგებისა და სრულყოფის კომპეტენტური ორგანო. მისი სრულყოფილი მუშაობისათვის საჭიროა შემუშავდეს ისეთი ტიპობრივი დებულება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნით გამოწვეული ცვლილებანი.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: როგორი ურთიერთობაა საჭირო საზოგადოებრივ მეურნეობებსა და გადამმუშავებელ საწარმოებს შორის?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ჩვენი აზრით, საზოგადოებრივ მეურნეობებსა და გადამმუშავებელ საწარმოებს შორის უნდა გამოინახოს ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი ოპტიმალური ნაკადი, რომელიც საბოლოო შედეგით თანაბრად დაინტერესებს ორივე მხარეს და ნაკლებად იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ მხარის ხელმძღვანელის უწყებრივ ინტერესებზე, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იგრძნობა მათს ურთიერთობაში. მათი ნორმალური პარტნიორობის მისაღწევად უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური სანქციები უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის.

სასარგებლო იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილზე მიღება, რითაც მოგებდა ორივე მხარე. მრეწველობა ადგილზე ჩაიბარებდა ხარისხიან ნედლეულს, ხოლო მწარმოებელს ნაკლები დანახარჯები ექნებოდა. საზოგადოებრივ მეურნეობებსა და გადამმუშავებელ საწარმოებს შორის ყოველთვის უნდა იყოს დამოუკიდებლობის, პარტნიორობისა და ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობები.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: რა ღონისძიებები მიგაჩნიათ საჭიროდ ჩამორჩენილი დარგების და საზოგადოებრივი მეურნეობების ასაღორძინებლად?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ჩამორჩენილ მეურნეობათა დარგების ასაღორძინებლად, საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შრომის ორგანიზაციისა და მოწონების მეთოდების დანერგვა, აგრეთვე მასების შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდა, ტექნოლოგიის ზუსტი დაცვა, კოლექტიური იჯარის გავრცელება, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება საბოლოო შედეგთან; შრომის დისციპლინის განმტკიცება, ყოველდღიური კონტროლის დაწესება შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი.

ამასთან, ჩამორჩენილი დარგებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ასაღორძინებლად ყველაზე დიდი რეზერვია მოწონავეთა გამოცდილების გამოვლენა, ბული ამა თუ იმ მხარის ხელმძღვანელთან ურთიერთობა ინტერესებზე, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იგრძნობა მათს ურთიერთობაში. მათი ნორმალური პარტნიორობის მისაღწევად უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური სანქციები უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის.

სასარგებლო იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილზე მიღება, რითაც მოგებდა ორივე მხარე. მრეწველობა ადგილზე ჩაიბარებდა ხარისხიან ნედლეულს, ხოლო მწარმოებელს ნაკლები დანახარჯები ექნებოდა. საზოგადოებრივ მეურნეობებსა და გადამმუშავებელ საწარმოებს შორის ყოველთვის უნდა იყოს დამოუკიდებლობის, პარტნიორობისა და ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობები.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: რა ღონისძიებები მიგაჩნიათ საჭიროდ ჩამორჩენილი დარგების და საზოგადოებრივი მეურნეობების ასაღორძინებლად?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ჩამორჩენილ მეურნეობათა დარგების ასაღორძინებლად, საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შრომის ორგანიზაციისა და მოწონავე მეთოდების დანერგვა, აგრეთვე მასების შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდა, ტექნოლოგიის ზუსტი დაცვა, კოლექტიური იჯარის გავრცელება, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება საბოლოო შედეგთან; შრომის დისციპლინის განმტკიცება, ყოველდღიური კონტროლის დაწესება შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი.

ამასთან, ჩამორჩენილი დარგებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ასაღორძინებლად ყველაზე დიდი რეზერვია მოწონავეთა გამოცდილების გამოვლენა, ხსენებული ინსტიტუტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრა (გამგე — დოცენტი ლ. ტრაპაიძე), რომელიც ელმავალის დამზმარე მანქანების კვების პერსპექტიულ სისტემებს ამუშავებს. არცთუ დიდი ხნის წინათ მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის და მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კათედრის თანამშრომლებმა შეიმუშავეს რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური სისტემა, რომელიც უკვე დაინერგა „ვლ-11“ სერიის 200 და „ვლ-15“ სერიის 3 ლოკომოტივებზე. სიახლის დანერგვით მარტო ერთ ელმავალზე იზოგება 94 ათასი მანეთი. ზემოხსენებული ინსტიტუტის მუშაკები ახლა გაერთიანებისათვის „ვლ-11“-ისა და „ვლ-15“ სერიის ელმავლებისათვის უნიფიცირებულ ურიკებს ამუშავებენ.

შეიძლება კიდევ მოგვეყვანა გაერთიანების სპეციალისტების მეცნიერებთან შემოქმედებითი კონტაქტების მაგალითები, მაგრამ ეს მაინც არ იქნებოდა საკმარისი. საქმე ის არის, რომ შესაძლებლობანი ამ მხრივ არ არის სრულად გამოყენებული. თბილისის XXXIV საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საწარმოს მისამართით გამოთქმული კრიტიკა იმის თაობაზე, რომ „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში ჯერ კიდევ საკმარისი არ არის მეცნიერების - გავლენა, — სამართლიანია.

თბილისურმა ხელმავალმა „ვლ-11-მა“ მოიგება სახელი, მოსწონთ იგი რიგითი ბრიგადიერებს. ლოკომოტივი მუშაობს საქართველოს ფოლადის მაგისტრალის ურთულეს რელიეფზე — ურალ-ციმბირის ტიპის ლოკომოტივებს აქვს სახელმწიფო სტანდარტი ნომანი. მეტ ელიან აქ ახლახან შექმნილი მძლავრი „ვლ-15“ სერიის ლოკომოტივებიც. ახალი ელმავალი ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლით შეესაბამება მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს, და ეს მეტად სასიამოვნო ფაქტია. მის შექმნაში, ცხადია, გამოყენებულია მეცნიერების თანამედროვე მიღწევები, სიახლეთა მთელი კომპლექსი.

საყურადღებო დოკუმენტები და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი საქართველოს ელმავალმშენებლებს დიდ ამოცანებს უსახავს. ამ ამოცანებს ისინი, რა თქმა უნდა, მეცნიერებთან მჭიდრო კავშირით - გადაწყვეტენ, გახდიან თავიანთ საწარმოს სამაგალითოს, საჩვენებელს. მეცნიერებიც, თავის მხრივ, მეტი გულისხმიერებით, მონდომებით უნდა მოეკიდონ გაერთიანების ხელმძღვანელობასთან ხელშეკრულებით ნაკისრ სამუშაოთა შესრულებას. არის შემთხვევა, როცა სამეცნიერო დაწესებულება იწყებს გაერთიანებისათვის რომელიმე კონკრეტული საკითხის დამუშავებას, წრნასწარ იღებს საამისოდ სამუშაოს შესრულებისათვის განსაზღვრული საფასურის 25 პროცენტს და მიერ ვერ ართმევს თავს მის დამუშავებას. წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გზაზე გაერთიანებას ფასდაუდებელი დახმარება შეუძლია გაუწიოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მეცნიერებისა და ტექნიკის კოორდინაციის კომიტეტმა.

Შ. ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ.

ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲨᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲫᲚᲝᲚᲐ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან სკკპ XXVII ყრილობას, გვსურს გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის ზოგიერთი ღებულების გამო.

ცნობილია, რომ კულტურის როგორც სოციალური ფენომენის ცნება მოიცავს ყველაფერს, რაც კი შეუქმნია ადამიანს ფიზიკური და გონებრივი შრომით. იგი, მაქსიმ გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ თავის გარშემო შექმნილი „მეორე, ბუნებაა“. კულტურა იმდენად ფართო ცნება გახლავთ, რომ, მ. კალინინის აზრით, იტევს ყველაფერს „პირის დაბანიდან — ადამიანური გონების თვით უმაღლეს მიღწევამდე.“.

თანამედროვე ცივილიზაციის ყველაზე დიდ მიღწევად სრულიად სამართლიანად ითვლება სოციალისტური კულტურა, რომლის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებებია: კომუნისტური იდეურობა, ხალხურობა და სოციალისტური ჰუმანიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჰარმონიული შერწყმა, ყველა დროისა და ხალხის პროგრესულ კულტურულ მონაპოვართა ვერტიკალური და ჰორიზონტალური რეცეფცია, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი და ინტერნაციონალისტური ხასიათი. ეს არის სოციალისტური ერის სულიერი სიმდიდრე. ამიტომ დღეს, როდესაც ერის ზოგიერთი ნიშან-თვისება (ტერიტორიული, ეკონომიკური ერთობა) კარგავს თავის ერეგმი ეროვნული ენისა და კულტურის შესახებ, რომელმაც კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში პოვა შემდგომი განვითარება. სწორედ ამ ახლისა და განვითარებადის პრობაგანდას გვავალებს იდეოლოგიურ ფრონტზე არსებული კონკრეტული ისტორიული ვითარება, ის, რომ, როგორც ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღნიშნა, ჯერ კიდევ არის ეროვნული ისტორიისა და კულტურის განსაზღვრის დროს პარტიულ-კლასობრივი პრინციპებისაგან ერთგვარი გადახრის ცალკეული ფაქტები.

კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის შემუშავება და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის მისი გამოქვეყნება ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო მოვლენაა. ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა საისტორიო და ფილოსოფიურ ლიტერატურაში თავი იჩინა ერების და ეროვნულ კულტურათა განვითარების პერსპექტივებისადმი ვოლუნტარისტულმა მიდგომამ, „წინგარბენინ“ ცდამ. ამასთან ზოგიერთმა მკვლევარმა „გულწრფელად“ იწამა, რომ სამოციანი წლების თაობა იცხოვრებდა კომუნიზმის ხანაში, რადგან კომუნიზმის აშენება „წინგარბენით“ გატაცებულებმა მხოლოდ რამდენიმე ხუთწლედის ამოცანად ჩათვალეს. ამტომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მოსაგვარებელი რჩებოდა მხოლოდ ეროვნული საკითხი — ერებისა და ეროვნულ კულტურათა სრული გაერთიანება. უხეირო პროპაგანდისტებმაც არ დაუყოვნეს და „ერების სრული ერთობა“ მიმდინარე მომენტის ამოცანად გამოაცხადეს. ამ „ერთობის“ დასაჩქარებლად კი არაერთ რეკომენდაციას გვთავაზობდნენ, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ „საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმამდე წინ ედოთ დიდი გზა — გზა სოციალიზმის განვითარებისა და სრულყოფისა“, ხოლო „თეორიისადმი, საპრორგრამო დებულებისა დ მ ი არასერიოზულ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, — როგორც აკადემიკოსი პ. ფედოსეევი აღნიშნავდა, — შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს პარტიას და მის ავტორიტეტს“.

ამის საფრთხეც შეიქმნა. განვითარების ისტორიული ეტაპების ფორსირებული გარბენის ცდას დიდი ზიანის მოტანა შეეძლო ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მთელ მსოფლიოში და ხალხთა მეგობრობისათვის ჩვენში, რამდენადაც ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები აღნიშნულ ნაყალბევს ლენინურ ეროვნულ პროგრამად და პოლიტიკად აცხადებენ ხოლმე, შემდეგ კი „ჯვაროსნულ ომს“ უმართავდნენ მას.

ერებისა და ეროვნულ კულტურათა გაერთიანების თაობაზე ვოლუნტარისტულ „თეორიებს“ თავიდანვე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრმა წარმომადგენელმა. მაგრამ ეს ვოლუნტარისტული „თეორიები“ საბოლოოდ უკუაგდო პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტმა, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ლენინური დებულება იმის თაობაზე, რომ ერების აყვავებასა და დაახლოებას **„ერების სრული ერთობა მოჰყვება“** მხოლოდ **„შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში“**. სოციალისტური ერების ერთობა, ლენინის აზრით, „საუცხოო რამაა და ეს იქნება მხოლოდ კომუნისტური განვითარების სულ სხვა სტადიაზე“ და არა სოციალიზმის სრულყოფის სტადიაზე, როგორც ფიქრობდნენ ზოგიერთები.

„ერების სრული ერთობა“ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციას, შემდეგ კი ვ. ლენინს, გ. პლეხანოვს, მ. გორკის, ა. ლუნაჩარსკის და სხვა მარქსისტ-ლენინელებს მიაჩნდათ არა რეგიონალურ, არამედ გლობალურ, მსოფლიო მასშტაბისა და მნიშვნელობის მოვლენად. ვ. ი. ლენინი, ხელმძღვანელობდა რა ამით, წერდა: „სანამ არსებობენ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის — ხოლო ეს განსხვავებანი კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი — ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, (ეს სულელური ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის **ძირითადი** პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც **სწორად შეუცვ

ეროვნულ ფაქტებში • მოვლენებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ეროვნულ-სამეურნეო საკითხთა კომისიის სხდომა

უახლესი ხუთი-ათი წლის განმავლობაში დაკმაყოფილდება ყოველი თბილისელის ოჯახის განცხადება ტელეფონის დადგმის შესახებ. სატელეფონო კავშირგამულობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მომსახურების განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ამ და სხვა ღონისძიებათა შესახებ ილარაკაკა რესპუბლიკის კავშირგამულობის მინისტრმა ვ. ი. კოტახიძემ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგამულობის კომისიის მორიგ სხდომას მან ჩაუბარა ანგარიში, თუ რა მუშაობას ეწევა სამინისტრო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესისა და შრომელთა წინადადებების რეალიზაციისათვის.

მოხსენებაში, აგრეთვე დეპუტატ ა. ი. ზედგინიძის თანამოსენებაში აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული განაწესების შესასრულებლად აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მძღოლი რადიოსადგურო ხაზები თბილისი-ლენინგორ-ყაზბეგი-ორჯონიკიძე, ახმეტა-ცივომალო, მახარაძე-ჩოხატაური, ტყიბულონი, დუშეთ-ბარისახო, ადიგენ-ბასსუმანი, ქუთაისი-ჭიათურა-საჩხერე და სხვები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ტელეგადაცემებით მოცვის მნიშვნელოვან გადიდებას, რესპუბლიკის მთისა და მორეული რაიონების დასახლებული პუნქტების სატელეფონო კავშირგამულობის გაუმჯობესებას.

სხდომაზე დაასახელეს სხვა ფაქტებიც, რომლებიც ასახავენ სამინისტროს მუშაობას რესპუბლიკის კავშირგამულობის საშუალებათა შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების მოცულობის გაფართოებისათვის.

. უდავოდ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია, რათა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, რადიკალურად გაუმჯობესდეს კავშირგამულობის საშუალებათა მუშაობა. ამას დამაჯერებლად მოწმობს სამინისტროს მიერ შესასრულებლად მიღებული განაწესები, რომლებიც ამომრჩეველებმა მისცეს საქართველოს სსრ ახალგაზრდა, მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

დეპუტატებმა გაითვალისწინეს სხდომაზე აღძრული პრობლემების მნიშვნელობა და სიმწვავე. ყოველმხრივ გააანალიზეს ისინი და შეიმუშავეს კონკრეტული რეკომენდაციები ამომრჩეველთა განაწესებისა და მშრომელთა წინადადებების უცილობელი რეალიზაციისათვის, რათა გაუმჯობესონ კავშირგამულობის საშუალებებით მომსახურება. მიღებულ დადგენილებაში უპირველეს პრაქტიკულ ღონისძიებათა განსაზღვრასთან ერთად, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ქმედითი კონტროლი დავუწესოთ ამ განაწესებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობას, ყოველნაირად სრულყოთ კავშირგამულობის სამინისტროსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შორის ორმხრივ ღონისძიებათა შემუშავება იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში განვითარდეს კავშირგამულობის ქსელი, გაუმჯობესდეს მის საშუალებათა მუშაობა.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბ. ზ. ბარსუკოვმა.

(საქინფორმი).

სკკპ XXVII ყრილობის შესაბამისად

საიმედო ეტალონი

პოლონეთში გამოვიდა წიგნი „პროგრესისა და მშვიდობის პროგრამა. სკკპ XXVII ყრილობა“.

ვარშავა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი, რომელიც გამოსტავს საბჭოთა კომუნისტების მისწრაფებებს, აზრებსა და იმედს, ჩვენი პარტიისათვის საიმედო ეტალონია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობისათვის მზადების პერიოდში. წერს წიგნში „პროგრესისა და მშვიდობის პროგრამა. სკკპ XXVII ყრილობა“ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე, ყურნალ „ნოვე დროგის“ მთავარი რედაქტორი ს. ვრონსკი.

ლენინის პარტია, აღნიშნავს ავტორი, ამთავრებს თავისი XXVII ყრილობისათვის მზადებას მშრომელთა დიდი აქტიურობის ვითარებაში. ძირითადი საყრილობო დოკუმენტები, უწინარეს ყოვლისა, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი, იყო საერთო-პარტიული და საერთოსახალხო დისკუსიის ყურადღების ცენტრში, რომელიც საქმიან და შემოქმედებითს ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ყოველივე ეს მოწმობს საბჭოთა ადამიანების უდიდეს დაინტერესებასა და ენთუზიაზმს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მნიშვნელოვანი დოკუმენტი თავიანთი ფიქრებისა და მისწრაფებების გამოხატვად მიიჩნიათ.

პოლონეთში სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის ყოველმხრივ შესწავლა ხელს უწყობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ამოცანების უფრო ზუსტ განსაზღვრას, გვაძლევს იმის გეზს, რომ განვამტკიცოთ და გავღრმაოთ ურთიერთობა საბჭოთა სახელმწიფოსთან, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სახალხო პოლონეთის წარმატებული განვითარება და უშიშროება. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია სავსებით მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, სსრ კავშირის ფართო მასშტაბის კონსტრუქციულ ინიციატივებს, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა.

საბჭოთა კომუნისტები, რომლებიც წინა პლანზე აყენებენ სოციალისტურ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და გამრავლების ამოცანებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას, მომმე ქვეყნების ძალების გაერთიანებას წარმოების ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ძირეულ დარგებში, აღნიშნავს ს. ვრონსკი.

პრეზიდენტის „კონსულტაციები“

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა „კონტრასის“ ბანდებისათვის დახმარების მკვეთრი გაფართოების საკითხზე ეგრეთ წოდებული „საჯარო კონსულტაციების“ ფარგლებში მორიგი შეხვედრა გამართა კონგრესის წევრებთან.

ამჯერად თეთრ სახლში მიიწვიეს ორივე პარტიისაგან კონგრესის წარმომადგენლთა პალატის ხელმძღვანელები. ამ კონსულტაციების მიზანი, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ თავდაცვის მინისტრი უაინბერგერი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი კეისი, ის არის, რომ კაპიტოლიუმის ბორცვზე სასწრაფოდ დაამტკიცებინონ ადმინისტრაციის მოთხოვნა ყოფილ სომოსელთა ტერროისტული ბანდების მხარდასაჭერად დამატებით 100 მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე. ოფიციალურად მოთხოვნა კონგრესს უახლოეს ორ კვირაში გაეგზავნება. კანონმდებელნი დამუშავებასთან ერთად თეთრი სახლი დეზინფორმაციის ინტენსიურ კამპანიას ეწევა ნიკარაგუის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის და კუბის წინააღმდეგ.

● აშშ-ლიბია

პენტაგონის ბრძანება

ვაშინგტონი. პრესაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, პენტაგონმა ბრძანება გასცა დაიჭირონ სმელთაშუა ზღვაში ლიბიის ნავპირებისაკენ ავიამზიდი „ამერიკის“ გასვლა ნორფოლკის (ვირჯინიის შტატი) ბაზიდან. ამავე დროს ლიბიის ნავპირების სიახლოვეს მყოფ ავიამზიდებს „სარატოგას“ და „ჯორალ სის“, აგრეთვე თანმხლებ ხომალდებს უბრძანეს, არ დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზაზე მარტის დამდეგისათვის, როგორც ეს დაგეგმილი იყო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ სამი ავიამზიდისა და თანმხლები ხომალდებისაგან შემდგარ დამკვრელ ჯგუფს დაუსახეს „მთელი რიგი ამოცანები“. მათ შორის არ არის გამორიცხული სიდრის ყურეში შეჭრა. „წინ გველის იმ სამი ავიამზიდის მიერ განსახორციელებელი ოპერაცია, რომლებზეც განლაგებულია 250 საბრძოლო თვითმფრინავი“, — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა.

ტრიპოლი. აფრიკელ იურისტთა ასოციაციის კომიტეტმა საერთაშორისო სამართლის უნაში დარღვევა უწოდა შეერთებული შტატების პროვოკაციულ სამხედრო მოქმედებას და ეკონომიკურ სანქციებს ლიბიელი ხალხის მიმართ. აქ გავრცელებულ განცხადებაში კომიტეტმა რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა ბოლო მოუღონ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ აქციებს და მხარი დაუჭიროონ ლიბიელ ხალხს ვაშინგტონის სახელმწიფო ტერრორიზმის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობაში.

● სამხრეთ კორეა

კვლავ უარყვეს

ტოკიო. სამხრეთ კორეის ოპოზიციურმა ახალდემოკრატიულმა პარტიამ კვლავ კატეგორიულად უარყო ხელისუფალთა წინადადება, შეწყვიტოს იმ მოთხოვნაზე ხელმოწერათა შეგროვების კამპანია, რომელიც ითვალისწინებს პრომეერკელი დიქტატურის მოსპობას და პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის სისტემის შემოღებას.

მოკლედ

● **პარიზი. პარიზის ვერსალის გარეუბანში დამთავრდა ფრანგულ-ნოვაენა ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა პირველი კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 39 ქვეყნის დელეგაციები. კონფერენციაზე იმსჯელეს საკითხებზე, რომლებიც ფრანგულენოვანი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას ეხება. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე ზოგიერთი პოლიტიკური პრობლემები.**

● **დელი. ინდოეთის დედაქალაქში იხსნება პარლამენტის სპიუჯეტო სესია. ინდოეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები განიხილავენ რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ 30-ზე მეტ კანონპროექტს.**

სესიაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა აგრეთვე საერთაშორისო ვითარების განხილვას.

სახიფათო დოქტრინა

ამერიკული ჟურნალი „ნეოგლობალიზმის“ პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი. ამერიკის გავლენიანი ყურნალი „ფორინ აფერსი“ აღნიშნავს, თუ რაოდენ საშიშია ეგრეთ წოდებული „ნეოგლობალიზმის დოქტრინა“, რომლითაც შეიარაღდა ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაცია. ნიუ-იორკის ლერმანის ინსტიტუტის ერთ-ერთმა დირექტორმა ბ. მენდელბაუნმა ყურნალ „ფორინ აფერსში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში გამოთქვა შიში იმის გამო, რომ ადმინისტრაცია შეიძლება შორს წავიდეს ამ დოქტრინის განხორციელებაში, რომელიც, როგორც ცნობილია, აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების „უფლებას“ აშკარად, მათ შორის იარაღითაც ერეოდეს დედამიწის ნებისმიერ რაიონში ვაშინგტონისათვის არასასურველი მთავრობების დასამხობად ან მისი მორჩილი მარიონეტული რეჟიმების დასაცავად ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობების გაძლიერების პირობებში.

ასეთი დოქტრინის გამოყენების ყველაზე ტიპური მაგალითია, წერს ავტორი, კურსი ნიკარაგუის მიმართ, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს კონტრრევოლუციონერებს, რომლებიც სანდინისტური მთავრობის დამხობას ცდილობენ.

„რეიგანის ადმინისტრაცია კვლავ ჯიუტად ძალის გამოყენებაზე ამყარებს იმედს პოლიტიკაში განვითარებული ქვეყნების მიმართ“ — წერს ერთ-ერთ სტატიაში ყურნალის მთავარი რედაქტორი ჩ. მეინნი. „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, — აღნიშნავს იგი, — შეიარაღებული ძალები გამოიყენა გრენადასა და ლიბანში, ლიბიის წინააღმდეგ, მისი გამოყენებით ემუქრებოდა ირანს, ნიკარაგუასა და სირიას. კუბისა და ნიკარაგუის მახლობლად ეწყობოდა სამხედრო მანევრები დაშინების მიზნით“.

„ნეოგლობალიზმის დოქტრინის“ შესაბამისად, განაგრძობს ყურნალი, „1985 წელს კონგრესმა გააუქმა ეგრეთ წოდებული კლარკის შესწორება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს უკრძალავდა ყოველგვარ სამხედრო ჩარევას ანგოლაში“, და გზა გაუხსნა უნიტას დაჯგუფებისათვის სამხედრო დახმარების აშკარად გაწევას. ადმინისტრაცია კვლავ უწევს დახმარებას კონტრრევოლუციურ ძალებს ავღანეთში, ამარაგებს მათ იარაღით მესამე ქვეყნების მეშვეობით. იმავე 1985 წელს მიიღეს კანონი, რომელიც კამბუჩიის ტერიტორიაზე შეჭრილ პოლპოტელთა ბანდებისათვის დახმარების გაწევის ნებას იძლევა. ამავე დროს ვაშინგტონის კლიენტ ანტიხალხურ დიქტატურებს „უშიშროების“ პროგრამებისათვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქვეყნების ხალხების წინააღმდეგ დამსჯელი ოპერაციებისათვის, წლითიწლობით სულ უფრო მეტი მილიონი დოლარი ეძლევათ. 1981 წელს ამ მიზნებისათვის ასიგნებათა წილი უცხოეთის სამხედრო დახმარებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ხარჯების ნახევარს შეადგენდა, 1985 წელს — უკვე ორ მესამედზე მეტს.

ვაშინგტონის პოლიტიკის შედეგია, წერს „ფორინ აფერსი“, ის, რომ მისდამი ყველგან იზრდება უკმაყოფილება. ლათინურამერიკელები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ცენტრალურ ამერიკაში. არაბები აღშფოთებული არიან მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ისრაელთა დასახლებების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოზიციის გამო. აფრიკელები გმობენ მის კურსს სამხრეთ აფრიკაში. დასავლეთევროპელები აშკარად უკმაყოფილონი არიან სავაჭრო ომის წინააღმდეგობებით, ძლივს იკავებენ თავს, რომ განუდგნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ამერიკაში.

„ფორინ აფერსი“ ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენების იმედს შეიძლება მოჰყვეს ისეთივე მარცხი, როგორიც მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში. დროა ამაზე იფიქრონ „ნეოგლობალიზმის დოქტრინის“ შემოხზველებმა.

● ჰაიტი

სახალხო მღელვარება

● მოითხოვენ „ეროვნული სამთავრობო საბჭოს“ გადადგომას ● ვაშინგტონის ავბედითი გეგმები ● გაქცეული დიქტატორის „საპროტესტო ნოტა“.

ჯორჯთაუნი. ჰაიტში არ წყდება მახობრივი სახალხო მღელვარება. პორტ-ო-პრენსიდან მოსული ცნობებით, დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში მოეწყო მრავალათასიანი მანიფესტაციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები. მიტინგებზე გამოსვლისას ორატორები მტკიცედ მოითხოვენ ეგრეთ წოდებული „ეროვნული სამთავრობო საბჭოს“ გადადგომას, რომელშიც შევიდა გაქცეული დიქტატორის ბეჟრი დამქაში. ისინი აცხადებდნენ, რომ მხარს უჭერენ საზოგადოებრივი ცხოვრების დაუყოვნებლივ დემოკრატიზაციას, ქვეყანაში ნამდვილად დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას პირსისხლიანი ტირანიის მძიმე მემკვიდრეობის რაც შეიძლება მალე მოსპობისათვის.

ბევრ სამრეწველო საწარმოში, უწინარეს ყოვლისა, საწარმოებში, რომლებიც ამერიკის კომპანიებს ეკუთვნიან, გრძელდება გაფიცვები. პორტ-ო-პრენსში კვლავ დახურულია სავაჭრო ცენტრები, დაწესებულებები. მეცადინეობაზე არ დადის თითქმის 700 ათასი სტუდენტი და მოსწავლე. მოსახლეობა გაფფორებულ წინააღმდეგობას უწევს ხელისუფალთა ცდებს გამოიყენონ ძალა საზოგადოებრივი წესრიგის „აღსადგენად“. ზოგიერთ რაიონში ეს წინააღმდეგობა შეიარაღებული შეტაკებებითა და სროლით დამთავრდა.

ვაშინგტონი. ვაშინგტონის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ჰაიტის საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევისა და დიქტატორ დიუვალიეს გაქცევის შემდეგ ვითარების გამწვავების შემთხვევაში ამ ქვეყანაში „წესრიგის“ დასამყარებლად ამერიკის ჯარების გადაყვანის გეგმები. ამას იუწყება გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“.

კომენტარში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის იანვარში ექსპერტთა სპეციალურმა ჯგუფმა, რომელიც აანალიზებდა ჰაიტში არსებულ ვითარებას, გამოიტანა დასკვნა, რომ თეთრმა სახლმა უნდა დაიჭიროს დიქტატორის შეცვლა უფრო „მოქნილი“ მოღვაწით, რომელიც ამავე დროს უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს.

ვაშინგტონის მიერ დაგეგმილი დიუვალიეს „შეცვლამდე“ რამდენიმე კვირით ადრე, აღნიშნავს გაზეთი, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების საკითხებში რიჩარდ ჰაუელმა სპეციალურად იმოგზაურა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, იყო პარიზში. მან გააცნო დასავლეთ ევროპის მოავრობებს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები და შეეცადა დაეთანხმებინა ისინი თუნდაც დროებით მიეცათ თავშესაფარი დიქტატორისათვის.

ვაშინგტონი, აღნიშნავს გაზეთი დახმარებას დაპირდა დიუვალიეს. მაგრამ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პროგრესული და დემოკრატიული საზოგადოებრიობის აქტიური გამოსვლები თეთრკანიანი დიქტატორისთვის თავშესაფრის მიცემის წინააღმდეგ აიძულებენ თეთრ სახლს მიმართოს მანევრებს, რათა შეინიღბოს თავისი მჭიდრო ურთიერთობა ჰაიტის პრომერიკულ რეჟიმთან.

● იტალია

„მპაცრი მკონომიის“ წინააღმდეგ

იტალიის საზოგადოებრიობის ფართო ფენების გულისწყრომას იწვევს ხელისუფალთა ანტიხალხური პოლიტიკა განათლების დარგში. სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის მიერ მოწყობილი გამოკვლევის შედეგები მოწმობს, რომ მოსახლეობის 22 პროცენტი ანუ ყოველი მეხუთე იტალიელი არც წიგნსა და არც ყურნალ-გაზეთებს არ კითხულობს. ხელისუფალნი ამ ფაქტს კითხვის „ჩვევის უქონლობით“ ან „დაუინტერესებლობით“ ხსნიან. სინამდვილეში, დემოკრატიული პრესის აზრით, მიზეზი განათლების სისტემაში უნდა ვეძებოთ. განსაკუთრებით მწვავე ვითარებაა ამ მხრივ ქვეყნის სამხრეთში, სადაც სკოლებისა და სხვა სასწავლებლების, კლასებისა და ლაბორატორიების მწვავე ნაკლებობაა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ სამხედრო ხარჯებს და სოციალურ სფეროში „მკაცრი ეკონომიის“ პოლიტიკას ახორციელებენ.

სურათზე: განათლების დარგში ხელისუფალთა პოლიტიკის საწინააღმდეგო მანიფესტაცია მილანში.

ანსა-საკდესის ფოტო.

ფოტოფაქტი

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ენა

ეროვნული ენა ეროვნული ფასეულობათა ერთ-ერთ ფუძეა.

მრავალჟამიერ, საქართველოვ!

ლენინგრადი, 29 თებერვალი (საქინფორმის სპეც. კორ.). აი როგორი ყოფილა იგი, მზეთუნახავი საქართველო! აი ისინი, „თბილისობის“ დღესასწაულის გმირები! საქინფორმის ფოტოსურათების გამოფენა მასპინძლობდა ამ საღამოს ლენინგრადელებს, რომლებიც ახალგაზრდობის სასახლეში მოვიდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის შექმნის 65 წლისთავისადმი მიძღვნილ ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე. ძველი და ახალგაზრდა ქალაქის პეიზაჟების გვერდითაა იმ ადამიანთა პორტრეტები, რომლებსაც მთელი ქვეყანა იცნობს: პოეტი ირაკლი აბაშიძე, მხატვარი ლადო გუდიაშვილი, მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, დირიჟორი ჯანსუღ კახიძე...

დღესასწაულზე მოხმობის სიგნალები სტუმრებს იწვევენ დარბაზში, სადაც სცენაზე ოქროსფრად ელავს ციფრი „65“. და შეხვედრის თავისებურ ეპიგრაფად ეღერს იეთიმ გურჯოს ლექსის სტრიქონები „საქართველოვ, შენი მომღერალი ვარ!“. სადიდებელი სიტყვები ერწყმის ძველ ქართულ მუსიკას.

გურამ საღარაძესთან ერთად ლენკონცერტის მსახიობი სერგი ნოვოელოვი, მარინე კუტიკოვა, ლუდმილა ეუტიანინა, ალექსი ეშელიანოვი ასრულებენ კომპოზიციას, რომელშიც შევიდა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის ლექსები.

ეღერს იუბილარი რესპუბლიკის სადიდებელი:

„ბილოცავ იუბილეს, ჩემო საქართველოვ,
და გაზაფხულის თაიგულებს ბილოცავ,
ორდენთა შემთა ჩიუხვეს დროშაზე,
ჩვენს უკვდავ ძმობას და ერთობას ვილოცავ!“

წამყვანებმა მაყურებლებს წარუდგინეს ცნობილი ლენინგრადელი მეცნიერები, პედაგოგები, მსახიობები, ბალეტმაისტერები, ხუროთმოძღვრები, ექიმები, მუშები, რომლებიც საქართველოში დაბადებენ, ახალი ევნისპირა ქალაქში ცხოვრობენ.

სცენაზე ადის ტანმაღალი ჭაღარა კაცი, რომელსაც მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი. თითქოს წელთა სიმრავლე არ დასწოლია მის მხრებს, ისე ენერგიულად და სწრაფად მოძრაობს. ეს არის ერმიტაჟის დირექტორი, აკადემიკოსი ბ. ბ. პიოტროვსკი.

ძვირფასო ლენინგრადელებო და ქართველო სტუმრებო!

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა საქართველოს 65 წლისთავს, რომლის კულტურა უკვე დიდი ხანია დაკავშირებულია ნევისპირა ქალაქთან.

პეტერბურგის, რუსეთის ახალი დედაქალაქის დაარსების შემდეგ მალე აქ შეიქმნა ქართული კოლონია. 1736 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია უკვე ბეჭდავდა წიგნებს ქართული შრიფტით, უშვებდა ქართული ენის ლექსიკონს. ეს იყო 1801 წლამდე, რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე. ჩვენი ქალაქის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ბევრი იყო ქართველი — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. პეტერბურგში ისწავლებოდა საქართველოს ისტორია, გამოდიოდა ლიტერატურული ძეგლები, მათ შორის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული კულტურის პოპულარიზაციას არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც.

გასული საუკუნის 60-იან წლებში პეტერბურგის სკოლის ახალგაზრდობიდან გამოვიდნენ ქართული კულტურის შესანიშნავი მოღვაწენი, „თერგდალეულნი“ — ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, რომელიც პირადად იცნობდა მარქსსა და ჩერნიშევსკის.

ძვირფასო ქართველო სტუმრებო, გულითადად მოგესალმებით და ყარმატებასა და აყვავებას ვუსურვებ თქვენს სამშობლოს, პირადად თქვენ კი დიდ მიღწევებს თქვენს საქმიანობაში, კეთილდღეობას თქვენს ოჯახებს.

მიკროფონთან მიდის მ. გორკის სახელობის დიდი აკადემიური დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ა. ტოვსტონოგოვი.

ამ ჩემს ტიტულებს არ დაუმატებს კიდევ ერთი, რომლითაც მეტად ვამაყობ, — შენიშნა გიორგი ტოვსტონოგოვმა, — თბილისის საპატიო მოქალაქე. მიყვარს ეს ქალაქი — ძველიც, რომელსაც ახლა ასე სათუთად აღადგენენ, და ახალიც. მაგონდება 30-იანი წლები, სწორედ მაშინ ჩამოვყალიბდი როგორც ხელოვანი.

ამ სიტყვების მჭევრმეტყველური ილუსტრაცია გახდა ხანუმას (სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლუდმილა მაკაროვა) და მედუქნე აკოფას (რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ნიკოლოზ ტროფიმოვი) სცენა-დიალოგი.

თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ამჟამად კი ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ევგენია ცელოვალნიკი მღერის ს. ცინცაძის „სიმღერას თბილისზე“. რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი კონსტანტინე პლუჟნიკოვი ასრულებს ნაწყვეტებს დ. არაყიშვილის ოპერებიდან, ხოლო საკავშირო კონკურსების ლაურეატი მაკარ ალპატოვი — დავით ბადრიძის მოწაფე — ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“ „დაჭრილი არწივის ბალადას“ და ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ კიაზოს არიას „დამისხი, დამალევინე“.

— მე ორი სამშობლო მაქვს: რუსეთი და საქართველო, —თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ოლეგ ბასილაშვილმა. — მამა-ჩემი 1941 წელს წავიდა მტრის შემოსევისაგან სამშობლოს დასაცავად, ჩვენი ოჯახი კი მოსკოვიდან გაიხიზნა თბილისში, სადაც ბევრი ჩვენი ნათესავი და ნაცნობი ცხოვრობდა.

სწრაფად და დინამიკურად ვითარდება ილია ეფეზგიშვილის მიერ დადგმული საკონცერტო მოქმედება.

— დარბაზი ტაშს უკრავს კომპოზიტორ არკადი გაგულაშვილს, სტუდია „ლენფილმში“ დადგმული მთელი რიგი ფილმების მუსიკის ავტორს. გულთბილად ხვდებიან მაყურებლები ქალაქ ლომონოსოვის ბავშვთა ქორეოგრაფიულ კოლექტივს. ჯულიეტა სამხარაძისა და შალვა მელიქიძის აღსაზრდელები ასრულებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს.



სურათზე: საქინფორმის გამოფენა ლენინგრადის ახალგაზრდობის სასახლის ფოიეში, სადაც ზეიმი გაიმართა.

ლენსაკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სცენაზეა ლენინგრადის ვ. თ. კომისარჟევსკაიას სახელობის დრამის თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. ს. ალამირზიანი.

მე დავბადე თბილისში, — თქვა მან. — მიყვარს და ვიცი ქართული ენა, ვთარგმნი ამ ენიდან. ამ ქალაქში არის ჩემთვის ძვირფასი მისამართები: დავამთავრე ორმოცდამეერთე შრომის სკოლა კამოს ქუჩაზე, ვსწავლობდი გრიბოედოვის სახელობის თეატრთან არსებულ სასწავლებელში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი პირველი პედაგოგი იყო 27 წლის გიორგი ტოვსტონოგოგი...

რუბენ ალამირზიანი მოგვიანებით მასთან ერთად მუშაობდა დიდ დრამატულ თეატრში, სადაც დადგა ნოდარ დუმბაძის პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ამ ნიჭიერი მწერლის ბევრმა ნაწარმოებმა მეორე ცხოვრება პოვა ვ. თ. კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრის სცენაზე. აქ იდგმებოდა სპექტაკლები „ცა რომ სარკე იყოს“ (მოთხრობის მიხედვით „მე ვხედავ მზეს“), „ნუ გაშინაო, დედა“, „სიცოცხლის დაბრუნება“ (რომანების „მარადისობის კანონისა“ და „მზიანი ღამის“ ინსცენირება). ალამირზიანმა გულთბილად და გულითადად ილაპარაკა შესანიშნავ პროზაიკოსზე, რომლის შემოქმედებითი გზა ასე ადრე შეწყდა...

და შემდეგ რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბორის სოკოლოვმა და რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა სტანისლავ ლანდგრაფმა შეასრულეს ნაწყვეტები სპექტაკლიდან „სიცოცხლის დაბრუნება“.

სცენაზე გამოდიან ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის კულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც მთიულურს ასრულებენ. ესენი არიან სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის ბორის ბრეგვაძის მოწაფეები, რომელიც ამ უმაღლეს სასწავლებელში ქორეოგრაფიის კათედრის გამგეა.

ეკრანზე მოჩანს თბილისის ხედები — მისი სანაპიროები და ძველთაძველი ტაძრები, ძეგლები და პარკები, ახალშენებლობანი. საზეიმოდ და მძლავრად ეღერს ეპიოლოგ-სადიდებლის სტრიქონები. წამყვანნი კითხულობენ ანა კალანდაძის ლექსს „მრავალჟამიერ“, რომელიც თარგმნა ბელა ახმადულინამ.

„ახალშენებლებს — დიდება მარად, მრავალჟამიერ!

მალე დაატკბობს შრიალი ხეთა მიწას გვალვიანს...

მშვიდობა, მარად, მშვიდობა შენდა, მრავალჟამიერ!

ზურგში თუ ფრონტზე გზა საომარი ძლევით გალიე,

ჩემო სამშობლოვ, დიდება მარად, მრავალჟამიერ!

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

წაყრუებისა და უპრინციპობის ვითარებაში

„ბოლშევიკი“

„ბოლშევიკის“ 11 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო საქინფორმის ინფორმაცია „საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბოლო დროს გახშირდა ცალკეული ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებისა და შენახვის ფაქტები. ინფორმაციის სარედაქციო კომენტარში, კერძოდ, ჩვენთვის ვაცნობეთ, რომ დაპატიმრებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის პასუხისმგებელი მუშაკის, სკკპ წევრის ვახტანგ ჩანტლაძის ვაჟი.

მისი შვილი ლევან ჩანტლაძე, დიპლომიანი ინჟინერი, რომელიც მუშაობდა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის სისტემაში, მთვრალი დაეკავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში. ჩანტლაძეს აღმოაჩნდა პისტოლეტი ხუთი საბრძოლო ვაზნითურთ, ხოლო ბინის გაჩხრეკვის დროს (იგი მშობლებთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა) — კიდევ ბევრი ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი.

მიუხედავად იმისა, რომ ლევან ჩანტლაძის დაპატიმრების ამბავი ცნობილი იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობისათვის, სადაც განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა მისი მამა ვახტანგ ჩანტლაძე, არც მმართველობის ხელმძღვანელობას, არც პარტკომს რეაგირება არ მოუხდენიათ ამ ფაქტზე. დიდი ხნის განმავლობაში არ განუხილავთ შვილის საქციელისათვის კომუნისტ ვახტანგ ჩანტლაძის პარტიული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც. როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხში უპრინციპობისა და ლიბერალიზმისათვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პარტკომის მდივანს დ. ნოზაძეს გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით და საყვედური — საქმეთა მმართველს ზ. ახვლედიანს.

სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა ლევან ჩანტლაძის დანაშაულის გარემოება, დაადგინა შემდეგი.

დაპატიმრებისთანავე ლევან ჩანტლაძემ განაცხადა, რომ სულით ავადმყოფია. დანიშნული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით იგი შეურაცხადად ცნეს, რის საფუძველზეც სასამართლომ მის მიმართ გამოიყენა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი. მაგრამ საგამძიებო ორგანოებმა და სასამართლომ საკმაოდ კრიტიკულად ვერ შეაფასეს ექსპერტიზის დასკვნა, საიდანაც შეუძლებელია იმის გაგება, იყო თუ არა ლევან ჩანტლაძე შეურაცხადი ცეცხლსასროლი იარაღის ტარების მომენტში, თუ ასეთი გახდა დაკავების შემდეგ და საერთოდ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს სამედიცინო დასკვნა. ღრმად არ შეუსწავლიათ ლ. ჩანტლაძის პიროვნება, მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც წინ უსწრებდა მის დაპატიმრებას, ისინი კი მეტად საყურადღებოა.

ჯერ კიდევ 1973 წელს ლ. ჩანტლაძემ, იმ დროს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბოლო ფაკულტეტის დღის განყოფილების V კურსის სტუდენტმა, თავის ამხანაგთან, არაერთხელ ნასამართლევ ლალიაშვილთან ერთად საშინი დანაშაული ჩაიდინა. გორ-თბილისის გზაზე მათ გააჩერეს გამვლელი მანქანა, რომელსაც მისი პატრონი თვაური მართავდა, და მოითხოვეს ისინი თბილისში წაეყვანა. უარი რომ მიიღეს, ლალიაშვილმა თვაურს სახეში გაარტყა, ჩანტლაძემ კი დანით მუცელში დაჭრა. თვაური ორ თვეს იწვა საავადმყოფოში და სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს, დამნაშავენი კი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. მაგრამ ჩანტლაძისა და მისი თანამზრახველის მიერ ჩადენილ დანაშაულს რატომღაც ჩხუბში მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია მისცეს, თუმცა დანაშაულის კვალიფიკაცია სხვაგვარი, უფრო დამძიმებელი უნდა ყოფილიყო. გორის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — გიორგაძე) ჩანტლაძეს მაშინ მიუსაჯა 6 წლის პატიმრობა. განაჩენი საკასაციო წესით არ ყოფილა გასაჩივრებული. მაგრამ შემდეგ, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შავგულიძის პროტესტით, ჩანტლაძის მიერ ჩადენილ დანაშაულს ნაკლებად მძიმე კვალიფიკაცია მიეცა და სასჯელი შეუმცირეს 5 წლამდე პატიმრობით. საგულისხმოა, რომ ლევან ჩანტლაძის მამას მისი დაპატიმრებისთანავე განუცხადებია, ჩემი შვილი ფსიქიკურად არასრულფასოვანიაო, თუმცა ექსპერტიზას მაშინ ეს არ დაუდასტურებია.

ჩანტლაძის დანაშაულისათვის ახალი კვალიფიკაციის მიცემასა და სასჯელის 5 წლამდე შემცირების შედეგად შესაძლებელი გახდა 1975 წლის მაისში მისი პირობით განთავისუფლება, სახალხო მეურნეობის მშენებლობებზე შრომაში სავალდებულო ჩაბმით. წინასწარი გამოძიების პერიოდში ჩანტლაძე გარიცხეს უმაღლესი სასწავლებლიდან ქრონიკული აკადემიური ჩამორჩენილობისა და ლექციების გაცდენისათვის. და ეს იმ დროს, როცა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იცოდნენ, რომ ბუხოევკურსელი ჩანტლაძე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

შემდეგ, გაუგებარია როგორ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მამის მფარველობით, ჩანტლაძე ჯერ კიდევ მშენებლობაზე სასჯელის მოხდის პერიოდში, როგორღაც ახერხებს უმაღლეს სასწავლებელში აღდგენას, სამ თვეში 12 საგნის ჩაბარებას და ამთავრებს ინსტიტუტს 1977 წლის ივნისში, თუმცა მისი სასჯელის მოხდის ვადა გავიდა მხოლოდ იმავე წლის ოქტომბერში, ისიც მას შემდეგ, რაც ერთი წელი დაუკლეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაუგებარი შეწყალების საფუძველზე.

აი, როგორ „აძერენდნენ“ მფარველები ჯერ კიდევ მაშინ დანით შეიარაღებულ ბანდიტ ჩანტლაძეს. ვინ? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა მამა, რომელსაც სხვადასხვა პასუხსაგები პოსტი ეკავა. სხვათა შორის ურიგო არ იქნება ნათელი მოეფინოს იმასაც, თუ რა გზით გახდა ვახტანგ ჩანტლაძე თავის დროზე ქუთაისში „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე? რა გზით მოხვდა შემდეგ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში პასუხსაგებ სამუშაოზე? და ბოლოს, როგორ დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში? რატომ მიიწევდა სულ ზეგით სამსახურებრივ კიბეზე ვახტანგ ჩანტლაძე, თუ მან საკუთარი შეიძლება კი ვერ აღზარდა რიგიან მოქალაქედ, უფრო მეტიც, მფარველობდა ბანდიტ შვილს, ეხმარებოდა მას თავიდან აეცილებინა საკადრისი სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის.

კიდევ ერთი მრავლისმეტყველი შტრიხი. როგორც სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, ლევან ჩანტლაძე სხვადასხვა დროს არაერთხელ მიუყვანიათ საავადმყოფოში დაჭრილი, მაგრამ ცნობა ამის შესახებ მილიციის ორგანოებისათვის რატომღაც, დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ, არ გადაუციათ. ერთი შავი ლაქაც ამ ამბავში: ლევან ჩანტლაძეს ტურისტად უმოგზაურია საზღვარგარეთ. მაგრამ როგორ შეძლო მან ეს, თუ ფსიქიკურად არასრულფასოვანი იყო? ან იქნებ ასეთი მაშინ ხდებოდა, როცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისი მიცემის საკითხი დგებოდა ხოლმე?

ამ უმსგავსო ამბავში ბევრ კითხვას უკვე გაეცა პასუხი, მაგრამ ბევრი რამ კიდევ გასარკვევია და, უეჭველია, გაირკვევა კიდეც. მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ გააპროტესტა სახალხო სასამართლოს განჩინება ლევან ჩანტლაძის ბოლო დანაშაულის თაობაზე და სჯმე გადაგზავნა დამატებითი გამოძიებისათვის.

და ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: დღეს თითოეულმა, და უწინარეს ყოვლისა კომუნისტმა, უნდა შეიგნოს, რომ ახლა, როცა მთელ ქვეყანაში და რესპუბლიკაში ყველაზე უკამპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, მას მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის კი არ მოპკითხავენ, არამედ იმისთვისაც, თუ როგორ იქცევა საზოგადოებაში, რა ცხოვრებას ეწევა მისი ოჯახის თითოეული წევრი. ეს მტკიცედ და განუხრელად განხორციელდება.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ესთეტიკური ტკბობის წყარო

ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო საღამო

პინ ბოთვლის, რამდენი საავტორო კონცერტი აქვს გამართული თავისი ხანგრძლივი და ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე ჩვენს გამოჩენილ კომპოზიტორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ოთარ თაქთაქიშვილს. მაგრამ ეს საღამო მაინც გამორჩეული და განსაკუთრებული იყო. სამეგ ის გაზლავთ, რომ მისი პროგრამა მთლიანად კამერული ნაწარმოებებისაგან შედგებოდა. დიახ, ო. თაქთაქიშვილი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ოპერებითა და ფართო პლანის ვოკალურ-სიმფონიური ქმნილებებით, „კომპოზიტორი — მონუმენტალისტი“, ამჟამად წარმოგვიდგა მისთვის უჩვეულო შემოქმედებითი ამპლუით, როგორც ნატიფი და დახვეწილი კამერული თხზულებების ავტორი. თანაც ორი მათგანი — სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის და ვოკალური ციკლი ნ. ბარათაშვილის ლექსებზე — პირველად სრულდებოდა, ხოლო დანარჩენები — სულ ერთი-ორჯერ თუ შესრულებული აქამდე. აი, რა განაპირობებდა ინტერესს კონცერტისადმი, მით უმეტეს, რომ შემსრულებლებიც პირველხარისხოვანი არტისტული ძალებით იყვნენ წარმოდგენილნი.

რა შეიძენა თქვენს ახლად მოსმენილი ნაწარმოებების შესახებ? პირველ რიგში, ალბათ ის, რომ თავისებური „შემოქმედებითი ფერისცვლაება“, რომელიც კომპოზიტორს ბოლო ხანებში განუცდია, უმთავრესად მუსიკის ენაზეც და სტრუქტურულ მხარეს შეეხო და არა მის პრინციპულ მხატვრულ არსს. ო. თაქთაქიშვილი ერთგული რჩება საკუთარი, კარგა ხნის წინათ ჩამოყალიბებული შემოქმედებითი პოზიციებისა. მისი ინდივიდუალური ხელწერა იგრძნობა ახალი ნაწარმოებების ყოველ ტაქტში (კერძოდ, ბევრ მათგანში შეინიშნება კავშირი თამარის პარტიის ლირიკულ-მელოდიურ სტიქიასთან ოპერა „თამარის მოტიკებიდან“). კვლავ მკაფიოდაა გამოხატული თაქთაქიშვილის სტილის ძირეული თვისებები — მუსიკის მკვიდრი ქართული ეროვნული ხასიათი, მთელი მუსიკალური ქსოვილის მელოდიაციის ტენდენცია, ლირიკული და დრამატული სახეების შეპირისპირება და ურთიერთგამსჭვალვა.

როგორც მუდამ, ამჯერადაც უმაღლეს დონეზე იყო საქართველოს სახელმწიფო სიმღერიანი კვარტეტის საშემსრულებლო ოსტატობა (კ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, ნ. ჟვანია, ო. ჩუბინიშვილი).

საგიოლონჩელო სონატაში, რომელიც ასევე ჩინებულად შესასრულეს ნიჭიერმა მუსიკოსებმა რ. მიჩაბელმა და ს. სიხნიაშვილმა, ნათელი შთაბეჭდილება მოახდინა დრამატული რეჩიტატივებისა და ექსპრესიული კანტალენის შეპირისპირებამ. როგორც ეს თქმა-თქმაშვილის თითქმის ყველა სკერცოს ახასიათებს, იგი მახვილგონივრულობით გამოირჩეოდა, მჩქეფარე ენერგიით გაგვიტაცა ფინალმა — თვისებურმა „ქართულმა ტარანტელამ“.

ვოკალური ციკლისათვის კომპოზიტორმა თავისი საყვარელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შვიდი ლექსი შეარჩია.

ციკლი შესანიშნავად იმღერა ელდარ გეწაძემ, ხოლო საფორტეპიანო პარტიის ფაქიზ შემსრულებლად თვითონ ავტორი მოგვევლინა, რაც მის პრაქტიკაში, ვგონებ, პირველად მოხდა.

ბოლოსთვის მოვიტოვეთ საუბარი უკვე საკმაოდ გახმაურებული კამერული საგუნდო ციკლის „ქართული ჰანგების“ შესახებ. შთაბეჭდილება აქ განსაკუთრებით ძლიერი იყო (ოთხოვანი ნაწილს მსმენელები ტაშით აჯილდოებდნენ) როგორც შესანიშნავი მუსიკის, ასევე ბრწყინვალე შესრულების გამო (გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი, ხელმძღვანელი — — შ. მოსიძე, სოლისტი — მ. აბულაძე).

„ქართული ჰანგების“ მუსიკის თავისებურება ის გახლავთ, რომ თაქთაქიშვილის ისეთი ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, როგორიცაა „ბეგრული სიმღერები“ ან „გურული სიმღერები“ (პირველი დამუშავებაა, მეორე კი თავისებური ფანტაზია ხალხურ თემებზე), უშუალო კავშირი ხალხურ წყაროებთან აქ ნაკლებად იგრძნობა (მხოლოდ ბოლო ნაწილშია გამოყენებული ხალხური „საჭიდაოს“ მოტივი).

ო. თაქთაქიშვილი რომ საგუნდო წერის ოსტატია, ეს ცნობილი ამბავია, მაგრამ თავის ტემპერული მრავალფეროვნებით, ბგერითი შეხამებების სიმდიდრით „ქართული ჰანგები“ ნამდვილად გამორჩეული ნაწარმოებია. მისი მოსმენა ესთეტიკური ტკბობის წყაროდ იქცა მსმენელებისათვის.

გ. ტორაძე.

სურათზე: ოთარ თაქთაქიშვილი საავტორო კონცერტზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ყაბალი

ფეხბურთის ამბები

2 მაისს ფინალურ მატჩში გაიმარჯვეს საკავშირო თასის 45-ე გათამაშებაში გამარჯვებულის ვინაობა, მეორე დღეს კი სტარტს აიღებს 46-ე გათამაშება. თასისათვის ბრძოლის საწყის ეტაპზე ითამაშებს პირველი ლიგის, აგრეთვე მეორე ლიგის 40 გუნდი. უმაღლესი ლიგის კოლექტივები თასისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან მეთექვსმეტედფინალიდან. საწყის ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდები — ლანჩხუთის „გურია“ და ბათუმის „დინამო“ სტუმრად ითამაშებენ. კრასნოგორსკში „ადგილობრივი „ზორკი“ უმასპინძლებს „გურიას“, ხოლო კიეველი არმიელები მიიღებენ „დინამოს“.

სსრ კავშირის ნაკრებმა მეხიკოს აცტეკას სტადიონზე გამართა ამხანაგური მატჩი მექსიკის ეროვნულ გუნდთან და დამარცხდა ანგარიშით 0:1.

სსრ კავშირის საკლუბო გუნდების ნაკრებმა, რომელიც ახალ ზელანდიაში იმყოფება, მეორე მატჩი გამართა ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან და იგი დაამთავრა ფრედ — 1:1. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთი გაიტანა ე. კუზნეცოვმა. მოსკოვის „დინამომ“ კი სოფიაში ადგილობრივ „ვიტოშთან“ ითამაშა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ვასილიევმა (2) და ბოროდიუმმა.

ბელგიის ქალაქ ლიეჟში, სადაც ადგილობრივი „სტანდარტისა“ და ბრიუსელის „ანდერლეხტის“ ფეხბურთელთა შეხვედრა გაიმართა, თავისი გუნდის წაგებით განაწყენებულმა ბრიუსელელმა გულშემატკივრებმა აყალმაყალი ატეხეს. პოლიციამ შეძლო უმსგავსობის ალაგმვა. ეგრეთ წოდებული ფეხბურთის ქომაგები რკინიგზის ვაგზალზე მიაცილეს და მატარებელში ჩასვეს. ხელოვნები მატარებელშივე თავავშვებულად იქცეოდნენ და სამი ვაგონის ფანჯრები ჩალეწეს, დაანგრიეს სკამები და... საქმეში ქვლავ პოლიცია ჩაერია. შარშან მაისში ბრიუსელის სტადიონზე ინგლისის „ლივერპულის“ გულშემატკივართა მიერ ატეხილი სიხლიანი ტრაგედია ფეხბურთის ადგილობრივმა ქომაგებმა, იტყობა, გაკვეთილად ვერ მიიღეს და ახლა ისინი გახდნენ უმსგავსო საქციელის მოთავენი. კიდევ კარგი, რომ ამჯერად მსხვერპლი არ ყოფილა.

გთავაზობთ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩების შედეგებს: პორტუგალია-გდრ — 1:3, მაროკო-ბულგარეთი — 0:0, ესპანეთი-ბელგია — 3:0. კანადის ნაკრები შეხვდა მექსიკის ქალაქ ირაპუატოს გუნდს და დამარცხა ანგარიშით 1:0.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო